

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: -

- საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის 16 სართულიანი შენობის სადარბაზოს რეაბილიტაციის, შენობის სარდაფის კეთილმოწყობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო მომსახურება;
- საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის შენობის სარდაფის კეთილმოწყობის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო მომსახურება;
- საქართველოს ეროვნული არქივის თბომომარაგების ქსელის რეკონსტრუქციის ავარიული „ტექნიკური ბლოკის“ მილების გარკვეული ნაწილის დემონტაჟის, თბოიზოლაციისა და ოპტიმალური მიმართულებით მილგაყვანილობის მონტაჟის, შეფუთვის, იზოლაციისა და საისტორიო ცენტრალური არქივის არსებული ოთახების გათბობის სისტემაზე დაერთებისა და დატესტვის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.

საპროექტო მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4000 (ოთხი ათასი) ლარს.

დაფინანსების წყარო: 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

2.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge).

2.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - დ) საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
- დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

3. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 25 სექტემბერს 15:00 საათზე.

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ და საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 25 სექტემბრის 15:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას #1, საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური შენობა, მე-2 სართული, შესყიდვების სამსახური.

4. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

6. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს კონკურსანტის მიერ, ხელმოწერილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

7. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

8. საკონკურსო კომისიის მიერ უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტის საკონკურსო წინადადებას, რომლის წარმოდგენილი პროექტი იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში შესაბამისი და ასევე დეტალურად იქნება გაწერილი სპეციფიკაციები, ნახაზები, აღწერილობები და ა.შ)

9. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის საფუძველზე.

10. საპროექტო მომსახურების დასრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **15(თხუთმეტი) კალენდარული დღისა.**

11. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ნახაზები, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ შესაბამისად) უნდა წარმოადგინოს **3 ეგზემპლარი ნახეკდი მასალა A3 ფორმატში და ელექტრონული სახით ჩაწერილი CD დისკზე.**

- **კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:**

ა) კონკურსანტის რეკვიზიტები.

ბ) შესყიდვის ობიექტის ფასი დღგ-ს ჩათვლით;

გ) ინფორმაცია მიწოდების ვადის შესახებ;

დ) ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის თაობაზე .

ე) გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა (ნახაზები, ვიზუალიზაცია, დეტალური სპეციფიკაციები, აღწერილობები და ა.შ ტექნიკური დავალების შესაბამისად)

- დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი: გვანცა შაშვიაშვილი, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი;

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 1, მე-2 სართული, შესყიდვების სამსახური.

ტელეფონი: **+99532 38 14 25.**

ტექნიკური დავალება

- საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის 16 სართულიანი შენობის სადარბაზოს რეაბილიტაციის, შენობის სარდაფის კეთილმოწყობის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო მომსახურება;
- საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის შენობის სარდაფის კეთილმოწყობის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო მომსახურება;
- საქართველოს ეროვნული არქივის თბომომარაგების ქსელის რეკონსტრუქციის ავარიული „ტექნიკური ბლოკის“ მიღების გარკვეული ნაწილის დემონტაჟის, თბოიზოლაციისა და ოპტიმალური მიმართულებით მილგაყვანილობის მონტაჟის, შეფუთვის, იზოლაციისა და საისტორიო ცენტრალური არქივის არსებული ოთახების გათბობის სისტემაზე დაერთებისა და დატესტვის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.

ძირითადი მოთხოვნები:

წარმოდგენილი ტექნიკური პირობა, მოცულობები და სამუშაოების ჩამონათვალი სავარაუდოა და პრეტენდენტის მიერ საჭიროებს ადგილზე გაცნობას და დაზუსტებას .

უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის 16 სართულიანი შენობის სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები და სარდაფის კეთილმოწყობა

- ✓ კარ-ფანჯრის დემონტაჟი და ახალი დურ-ალუმინის კარ-ფანჯრის მონტაჟი;
- ✓ იატაკის დემონტაჟი (ძველი დაგებული მეტლახი) და ხელოვნური გრანიტით მოპირკეთება;
- ✓ ლიფტის შახტის მოსაპირკეთებელი სამუშაოები - არსებული ბადის აღდგენა, გაწმენდა და ღებვა;
- ✓ კიბის მოაჯირის რეაბილიტაცია - არსებულის აღდგენა, გასუფთავება, შეღებვა;
- ✓ კიბის საფეხურების რეაბილიტაცია;
- ✓ საფეხურების ლესვა-ღებვა ქვევიდან;
- ✓ კედლებსა და ჭერზე ძველი ნალესის მოხსნა და ლესვა-ღებვა;
- ✓ 3 სამუშაო ოთახის რეაბილიტაცია;
- ✓ სხვენში ასასვლელისა და სხვენის რეაბილიტაცია;
- ✓ ელექტროსადენების შეცვლა;
- ✓ განათების სისტემის მონტაჟი;
- ✓ სართულებზე არსებული მცირე ზომის სათავსოებისა და სველი წერტილების სრული რეაბილიტაცია;
- ✓ ეზოში გასასვლელი კარის დემონტაჟი და ახალი, ორფრთიანი რკინის კარის მონტაჟი (ზომები და სპეციფიკაცია უნდა დაზუსტდეს ადგილზე);
- ✓ დასუფთავება და სამუშაოების შემდგომ ნარჩენი ნაგვის გატანა.

- არმირებული ბეტონის დასხმა 35 მ²;
- ბეტონის საფარის ჰიდროიზოლაცია 35 მ²;
- ბეტონის ზედაპირის დამუშავება გრუნტითა და ებოქსიდური საღებავით - 35 მ²;
- 130 მ²-ზე იატაკის მოჭიმვა;
- მოჭიმული იატაკის ზედაპირის დამუშავება გრუნტითა და ებოქსიდური საღებავით - 130 მ²;
- კედლებისა და ჭერის (470 მ² და 230 მ²) ძველი ნალესის მოხსნა;
- კედლებისა და ჭერის ლესვა ქვიშა-ცემენტით (470 მ² და 230 მ²);
- 700 მ² (470 მ² და 230 მ²) დაგრუნტვა და ნესტგამძლე, ანტიბაქტერიული საღებავით შეღებვა;
- ელექტროსადენების შეცვლა;
- განათების სისტემის მონტაჟი;
- 3 ცალი მეტალო-პლასტმასის კარის მონტაჟი (ზომები და სპეციფიკაცია უნდა დაზუსტდეს ადგილზე);
- ლითონის კარკასზე, სექციებად (200X180) აწყობილი რკინის ბადის მონტაჟი - ზომები 12 გრძივი მეტრი;
- იატაკზე მცირე ზომის 2 სანიაღვრე ლუქის დაყენება (15-20 სანტიმეტრის დიამეტრის);

- ლითონის კარკასზე (200X120) აწყობილი რკინის ბადის მონტაჟი იატაკის დონეზე;
- რკინის ნაკეთობებს შეღებვა ანტი-კოროზიული საღებავით;
- დასუფთავება და სამუშაოების შემდგომ ნარჩენი ნაგვის გატანა.

საისტორიო ცენტრალური არქივის შენობის სარდაფის კეთილმოწყობა

- მოსამზადებელი სამუშაოები - ტერიტორიის გათავისუფლება მძიმე და მსუბუქი ნარჩენებისგან;
- 15სმ სისქის არმირებული ბეტონის დასხმა - 82 მ²;
- ბეტონის საფარის ჰიდროიზოლაცია 82 მ²;
- ბეტონისა (82 მ²) და მოხვეწილი იატაკის (350 მ²) ზედაპირის დამუშავება გრუნტითა და ებოქსიდური საღებავით;
- კედლებისა და ჭერის (600მ²) ზედაპირის აღდგენა, დაგრუნტვა და ლეგვა.
- სარდაფში ჩასასვლელი კიბის სრული რეაბილიტაცია,
- ლიფტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ძველი მეტლახის მოხსნა და ხელოვნური გრანიტის დაგება (20-25 მ²);
- ლიფტისა და სავენტილაციო სისტემის შორის, აგურის კედლის (15მ²) ამოშენება ლესვა-ლეგვით და ამ კედელში გისოსებიანი რკინის კარის (220X100) მონტაჟი;
- სარდაფის დარჩენილი ფართზე - 350 მ² იატაკის მოჭიმვა;
- ლითონის კარკასზე, სექციებად (200X180) აწყობილი რკინის ბადის მონტაჟი, ზომები - 44 გრძივი მეტრი;
- ღიობის ამოჭრა აგურის ტიხრის კედელზე ზომით 200X160 და რკინის კარის ჩასმა;
- 2 ცალი რკინის კარის მონტაჟი (ზომები 90X215 და 100X200);
- რკინის ნაკეთობების შეღებვა ანტი-კოროზიული საღებავით;
- ელექტროსადენების შეცვლა და განათების სისტემის მონტაჟი (სარდაფის დერეფანშიც);
- სართულზე, სავაეების გამოკლებით ტერიტორიის დასუფთავება;
- დასუფთავება და სამუშაოების შემდგომ ნარჩენი ნაგვის გატანა.

საქართველოს ეროვნული არქივის თბომომარაგების ქსელის რეკონსტრუქცია ავარიული „ტექნიკური ბლოკის“ მილების გარკვეული ნაწილის დემონტაჟი, თბოიზოლაციისა და ოპტიმალური მიმართულებით მილგაყვანილობის მონტაჟი, შეფუთვის, იზოლაციისა და საისტორიო ცენტრალური არქივის არსებული ოთახების გათბობის სისტემაზე დაერთება და დატესტვა


	განზ.	რაოდენ.
• თბოქელის იზოლაციის (არქივის ეზო) დემონტაჟი	გრძ/მ	152
• თბოქელის Φ114 მილების დემონტაჟი	გრძ/მ	80
• თბოქელის Φ80 მილების დემონტაჟი	გრძ/მ	72
• მილებისათვის კავ-საყრდენების მონტაჟი	ცალი	8
• თბოქელის ახალი Φ114 მილების მონტაჟი	გრძ/მ	42
• თბოქელის ახალი Φ80 მილების მონტაჟი	გრძ/მ	156
• თბოქელის ვენტილების ხელახლა მონტაჟი Φ114	ცალი	2
• თბოქელის ვენტილების ხელახლა მონტაჟი Φ 80	ცალი	2
• მილების თბოიზოლაციით შეფუთვა	გრძ/მ	232
• თბოიზოლ. თუნუქის მილოვანი ეკრანის გარსის მონტაჟი	გრძ/მ	120

თბოქელის რეაბილიტაციისათვის საჭირო მასალები

• კუთხოვანა ფოლადის მილისათვის Φ114	ცალი	16
• კუთხოვანა ფოლადის მილისათვის Φ 80	ცალი	6
• ფოლადის მილი Φ 80	გრძ/მ	55
• კავ-საყრდენები, კრონშტეინები მილებისათვის	ცალი	8
• ცალმხარეს ფოლგისანი თბოიზოლაციის რულონები (16-17მ ²)	ცალი	15
• ფურცვლოვანი თუნუქი(0,5მმ-სისქის) გარე ეკრანისათვის	მ ²	30-32

- სამონტაჟო სკოჩი (დიდი ზომის)
- ჭრა -შედულების აპარატი

ცალი 8
კომპ. 1



შენიშვნა:

გამარჯვებული მიმწოდებელი ადგილზე გაეცნობა არქივის სპეციფიკიდან გამომდინარე დამკვეთის მიერ წაყენებულ დეტალურ მოთხოვნებს, მიმწოდებელის მიერ პროექტის და ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის შემდეგ მოხდება ექსპერტიზის ჩატარება ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, რაზეც წარმოადგენილი იქნება შესაბამისი დასკვნა. ექსპერტიზის მომსახურების ღირებულება აანაზღაურებს შემსყიდველი.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

საქართველოს ეროვნული არქივი (მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №1 ტელ. 2 38-14-25, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-211358957), შემდგომში წოდებული "შემსყიდველად", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოადგილის სოფიო ლონდარიძის სახით და ----- შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის 16 სართულიანი შენობის სადარბაზოს რეაბილიტაციის, შენობის სარდაფის კეთილმოწყობის, საისტორიო ცენტრალური არქივის შენობის სარდაფის კეთილმოწყობის და ეროვნული არქივის თბომომარაგების ქსელის რეკონსტრუქცია ავარიული „ტექნიკური ბლოკის“ მილების გარკვეული ნაწილის დემონტაჟის, თბოიზოლაციისა და ოპტიმალური მიმართულებით მილგაყვანილობის მონტაჟის, შეფუთვის, იზოლაციისა და საისტორიო არქივის არსებული ოთახების გათბობის სისტემაზე დაერთებისა და დატესტვის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა.

(CPV კოდი -71300000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 % .

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, ხელშეკრულების გაფორმებიდან ----- დღის განმავლობაში.

ბ) აღნიშნული პროექტის განხორციელების პერიოდში შემსყიდველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე განახორციელოს პროექტში ცვლილება, უპასუხოს შემსყიდველის მხრიდან დასმულ შეკითხვებს.

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

გ) მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს/ენ -----.

5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში გამოასწოროს წუნი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, თუ მიღება-ჩაბარების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს მაშინ მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს რაც არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად.

6.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს საქართველოს ეროვნული არქივის წარმომადგენელი, მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ანგარიშგაქტურის ან/და ზედნადების წარმოდგენიდან და ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (ექსპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს შემსყიდველი) არაუგვიანეს 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველის ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ ათავისუფლებს ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. საერთო პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

მიმწოდებელი